ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3200032

ნომერი: AR1492944

თარიღი : 04.04.2017

გაცემის თარიღი : 11.04.2017

გაცნობის თარიღი : 11.04.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

რუსთაველის 38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა პაპასკირი პ/ნ 62004006575
- გულრიფში დ. აგუძერა 300

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 04/04/2017 წ. N AR1492944 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზირი N38-ს მიმდებარედ, (ს/კ N01.15.05.009.027) არსებულ ტერიტორიაზე, ღია სეზონური

საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას. პასუხად გაცნობებთ, რომ, ვინაიდან თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ 2 (ორი) თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია; მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ გეძლევათ ნებართვა, 04/04/2017 წ. N AR1492944 განცხადების პასუხად, ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზირი N38-ს მიმდებარედ, (ს/კ N01.15.05.009.027) არსებულ ტერიტორიაზე, ღია სეზონური კაფეს განთავსების მიზნით 2017 წლის 11 ივნისამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.